



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №48

2017 წელი 22 აგვისტო

ქ.ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2017 წლის 21 აგვისტოს N1516/02 მომართვის საფუძველზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, დასახლება ურეხში მდებარე საცხოვრებელი ბინები ეკომიგრატ ოჯახებზე გადაცემის მიზნით დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ბერიძე